სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

8 აპრილი 2024

გადაწყვეტილება # P24000027/0-1 (08/04/2024 10:00:03)

რეგისტრაციის შესახებ #P21000039/0-1 (07/12/2021) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე

1. წარმოების დაწყების საფუძველი

2024 წლის 3 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადმოეგზავნა საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს №0005391 მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 7 დეკემბრის რეგისტრაციის შესახებ #P21000039/0-1 გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლა.

2. ფაქტობრივი გარემოებები

2.1. 2021 წლის 22 ნოემბერს ზურაბ მახარაძემ #P21000039 განცხადებით მოითხოვა ახალი პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგისტრაცია.

2.2. განმცხადებელმა წარმოადგინა: ყრილობის ოქმი, წესდება (დამოწმებულია ნოტარიუს ზაალ ზაქარაშვილის მიერ, 2021 წლის 21 ნოემბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №211298616), ცნობა და თანხმობა იურიდიული მისამართისა და ტელეფონის ნომრის შესახებ, თავმჯდომარის ხელმოწერის ნიმუში, პარტიის წევრთა სია (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) და სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი).

2.3. 2021 წლის 25 ნოემბერს მიღებულ იქნა #P21000039/3 გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის შეჩერების შესახებ, შემდეგი დასაბუთებით:

2.3.1. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია ხელმძღვანელი პირის (პირების) ხელმოწერილი განცხადების წარდგენის ვალდებულება.
ყრილობის ოქმის მიხედვით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების გენერალურ მდივნად (ხელმძღვანელ პირად) არჩეულ იქნა გიორგი ქარდავა, რომელიც ხელს არ აწერდა წარდგენილ განცხადებას.

2.3.2. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ყრილობის მიერ დამტკიცებული წესდების 22.2 მუხლის მიხედვით, „წესდება ძალაში შედის დამფუძნებელი ყრილობის ყველა წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.“
სარეგისტრაციოდ წარდგენილ წესდებას ხელს აწერდა მხოლოდ ყრილობის თავმჯდომარე.

2.3.3. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პარტიის რეგისტრაციისათვის, პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში, სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს პარტიის წევრთა სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომრის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, ტელეფონის ნომრის მითითებითა და მათი

ხელმოწერებით. აღნიშნული ინფორმაცია დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ისეთი ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ცხრილის სახით - xlsx, cvs, ან მსგავსი ფორმატი; კოდირება UTF8), რაც რეგისტრაციის სამსახურს მისცემს შესაბამისი მონაცემების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავების შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით შედგენილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ქაღალდის მატარებელზე.
სარეგისტრაციოდ წარდგენილი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრთა სია არ შეიცავდა წევრთა პირადობის მოწმობის ნომრების შესახებ ინფორმაციას.

2.3.4. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წესდებაში უნდა აღინიშნოს პარტიის სახელწოდება, აგრეთვე მისი შემოკლებული დასახელება, თუ ასეთი გამოიყენება.
სარეგისტრაციოდ წარდგენილ წესდებასა და თანდართულ დოკუმენტებში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება მითითებული იყო არაერთგვაროვნად.

2.3.5. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდების 21.2 მუხლის მიხედვით, „პარტიის ემბლემა არის შინდისფრად გამოსახული 5 მცირე ზომის ჯვარი, რომელიც მთლიანობაში გამოსახულია ერთი დიდი ზომის ჯვრის სახით. ჯვრის გვერდით, ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილია პარტიის ოფიციალური დასახელება.“
სარეგისტრაციოდ წარდგენილი ემბლემის ესკიზი არ შეესაბამებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდებით განსაზღვრულ აღწერილობას.

2.3.6. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები არიან: „პარტიის წევრთა ყრილობა (კონგრესი, ასამბლეა, კონფერენცია და სხვ.), გამგეობა (საბჭო, დარბაზი, სამდივნო, კომიტეტი და სხვ.), სარევიზიო კომისია (საზედამხედველო კომისია, საკონტროლო კომისია და სხვ.). პარტიის ხელმძღვანელი ორგანო – პარტიის წევრთა ყრილობა არის პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.“
სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდებით, პარტიის წევრთა ყრილობა არ იყო განსაზღვრული ხელმძღვანელ ორგანოდ. ასევე, სარევიზიო კომისია წესდების 6.4, 6.6, 6.7, 12.1.6 მუხლებში არაერთგვაროვნად იყო მოხსენიებული.

2.3.7. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-17 მუხლის შესაბამისად, „ყრილობის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევა.“
სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდების 10.3 მუხლი პარტიის პოლიტიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და პარტიის თავმჯდომარის არჩევის ნაცვლად ითვალისწინებდა მათ დანიშვნას.

2.3.8. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წესდებაში უნდა აღინიშნოს პარტიის ქონების შექმნის წყაროები და მისი გამოყენების წესი.
სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება პარტიის ქონების გამოყენების წესს არ ითვალისწინებდა.

2.3.9. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდების 16.3. მუხლის მიხედვით, „პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს პოლიტიკური საბჭოს მიერ არჩეული პოლიტიკური საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“
ამავე წესდების 17.5 მუხლის მიხედვით, „პარტიის გენერალური მდივანი ასრულებს პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას პარტიის თავმჯდომარის არყოფნის და/ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.“
წესდების 16.3. და 17.5. მუხლების რეგულირება არ შეესაბამებოდა ერთმანეთს.

2.4. 2021 წლის 2 და 6 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დამატებით წარედგინა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების უფლებამოსილი პირების განცხადება და კორექტირებული დოკუმენტაცია. მათ შორის, წესდების ახალი რედაქცია, რომელიც დაერთო 2021 წლის 22 ნოემბერს წარდგენილ სანოტარო აქტს (დამოწმებულია ნოტარიუს ზაალ ზაქარაშვილის მიერ, 2021 წლის 21 ნოემბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №211298616). წესდებას ხელს აწერდა ყრილობის თავმჯდომარე კონსტანტინე მორგოშია.

2.5. 2021 წლის 7 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო რეგისტრაციის შესახებ #P21000039/0-1 გადაწყვეტილება და პოლიტიკური პარტიების რეესტრში დარეგისტრირდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა“ (ს/ნ 415030530).

3. სამართლებრივი დასაბუთება

3.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა.

მარეგისტრირებელ ორგანოს ეკისრება კონკრეტული სარეგისტრაციო დოკუმენტების გამოკვლევა იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია კონკრეტულად ამ დოკუმენტების ან/და სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე სუბიექტის რეგისტრაციის შესაძლებლობის დასადგენად.

3.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო.

3.3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება - თავისი ინიციატივით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველზე გადასინჯოს მის მიერ გამოცემული კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, განეკუთვნება მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, მმართველობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის - კანონიერების პრინციპის პრიორიტეტულობისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-298-295(კ-14)).

3.4. საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პარტიის წესდების მიღება და მისი ცვლილება ყრილობის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა.

3.5. 2021 წლის 6 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა კონსტანტინე მორგოშიას მიერ ხელმოწერილი ახალი წესდება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წესდება ყრილობას უნდა დაემტკიცებინა. ამდენად, საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, განმცხადებელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის პარტიის წევრთა ყრილობის მიერ მიღებული წესდება უნდა წარედგინა, რაც არ მომხდარა.

3.6. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა ურთიერთშეჯერების შედეგად, საჯარო მმართველობის სფეროში კანონიერების პრინციპის დაცვის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი მეწარმეთა და იურიდიულ პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაციის სამსახურის რეგისტრაციის შესახებ #P21000039/0-1 (07/12/2021) გადაწყვეტილება;

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.